ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

გზამკვლევი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის

სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:
https://www.tsu.ge
ასევე, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში და
სტუდენტთა მომსახურების ცენტრში
ჭავჭავაძის გამზ. 11, თსუ III კორპუსი, ოთახი 107 და 110
ცხელი ხაზი: 2250484
ელ-ფოსტა: *pes@tsu.ge*

2024-2025 სასწავლო წელი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პროფესიონალი სპეციალური მასწავლებლის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით, რაც მას საშუალებას მისცემს, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს შეუქმნას ადეკვატური სწავლა-სწავლების შესაფერისი გარემო.

პროგრამა 60 კრედიტს მოიცავს და გრძელდება ორი სემესტრი, გულისხმობს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას. თეორიული კურსებით სტუდენტი აგროვებს 50 კრედიტს, სასკოლო პედაგოგიური პრაქტიკა კი 10 კრედიტს გულისხმობს. სტუდენტები პრაქტიკას გადიან მხოლოდ პროგრამის პარტნიორ სკოლებში, სადაც პრაქტიკის ხელმძღვანელებმა სპეციალური მომზადება გაიარეს.

პირველ სემესტრში სტუდენტები გადიან იმ საგნებს, რომლებიც მოამზადებთ მეტად სპეციფიკური ცოდნის მისაღებად და სასკოლო პედაგოგიური პრაქტიკისთვის, რომელსაც სტუდენტები მეორე სემესტრში გადიან. პირველი სემესტრის სასწავლო პროგრამაში შეტანილია შემდეგი საგნები:სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები, ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში, ემოციური და ქცევითი დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება , დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია, ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია, ინკლუზიური განათლების მეთოდური საკითხები.

მეორე სემესტრში სტუდენტები მიიღებენ სპეციფიკურ ცოდნას განვითარების კონკრეტული დარღვევების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის შესახებ. მეორე სემესტრის პროგრამაში შეტანილია ისეთი საგნები, როგორიცაა: ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეების განათლება, მხედველობის დარღვევის მქონე პირთა სწავლების მეთოდები და განვითარების თავისებურებები, ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია და აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან მუშაობა სკოლაში. პარალელურად, პროგრამის პარტნიორ ერთ-ერთ სკოლაში გაივლიან სასკოლო პედაგოგიურ პრაქტიკას.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამით დაინტერესებული პირები ძირითადად დასაქმებულნი არიან, სააუდიტორიო სწავლა დაგგმილია საღამო საათებში. სასკოლო პრაქტიკა, ასევე, მაქსიმალურად იქნება მორგებული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.